№ 9
ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 9
ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 იანვარს.**

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 იანვარს,

ბენეფისი ქალ. კარგარელისა

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## ინჟინერი ან დოხტური

კომ. 4 მოქმ. თხზ. ქ-ნის აზიანისა

II

## მშვენიერის ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმ., ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, რჩეულოვისა, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

### რედაქციისაგან

ჩვენის ქვეყნის ყოველ მხრიდგან გვწერენ წერილებს და გვთხოვენ შევატყობინოთ, როდის იქნება ნამდვილად მცხეთაში გარდახდილი ჰანაშვიდი მეფის ერეკლეს სულის მოსახსენებლადაო. ვაცხადებთ, რომ განზრახულია ჰანაშვიდის გარდახდა იმ დღეს, რა დღესაც განსვენებულის მეფის გვამი იქმნა დაკრძალული, დაჭეშმარიტებით-კი ჯერ დღე არ არის გამოცხადებული.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**. —დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

ტფილისი, 13 იანვარი

ბევრს ჰლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ სოფელი თითქმის ყოვლად უნუგეშოდ არის დარჩენილი და ყოველ დღეს სულ უკან-უკან მიდის ქონებითაც და თითქმის გონებითაც. მართალიც არის, სოფელს ყველაფერი ენატრება, ნამეტნავად ჩვენში: არც სკოლა აქვს, არც სამკურნალო, ხელმისაწვდენი მკურნალიც არა ჰყავს, არც აფთიაქი გააჩნია, არც გზა და არც მისავალ-მოსავალი. ასე იფიქრეთ, მშვიდობით და მოსვენებით ცხოვრებაც, ქონების შერჩენაც-კი დიდ განსაცდელშია სოფლად და ძვირად უჯდება სოფლელს. კაცი რომ უყურებს იმ გარემოებას, რომელთ შორის ჰტრიალებს სიცოცხლე და ცხოვრება სოფლელისა ცალკე და ცალკე ქალაქელისა, ისე ჰგონია, რომ ყველა სიკეთე, რაც ადამიანს თავისს საბედნიეროდ და სადღეგრძელოდ მოუგონია, მარტო ქალაქებისათვის გამოუმეტნია და დაულოცნიაო.

ამ უნუგეშოდ ყოფამ სოფლისამ მიიქცია ყურადღება როგორც საზოგადოებისა, აგრეთვე მთავრობისაც. ყველამ, ვისაც-კი რაიმე შეძლება ჰქონდა ხმის ამოღებისა, ამ საგანს დაუწყო კვლევა და ძიება. ზოგი რა წამალს სდებდა ამ სოფლის უნუგეშობას, ზოგი რას. სხვათა შორის გამოირკვა, რომ ერთი დიდი ნაკლულოვანება სოფლისა უფულობაა. სოფლელმა, თუ საქმე რამ გაუჭირდა იმისთანა, რომელიც ფულით ხარჯსა თხოულობს, ან უნდა ჩალის ფასად გადაჰყაროს თვისი მონაგარი, ან მამასისხლად აიღოს სესხი და თითქმის საუკუნოდ ეყმოს ფულის სესხად გამცემსა. ბევრი თითქმის მარტო ამ გარემოებაში ჰხედავს უმთავრესს მიზეზს სოფლელის გაღარიბებისას. რა თქმა უნდა, ერთი მიზეზთაგანი ესეც უნდა იყოს სხვათა მრავალთა შორის და, იქნება, ძლიერი მიზეზთაგანიც. ასეა, თუ ისე, ამ მიზეზს ბევრს რასმე აბრალებენ და ამიტომაც ამ უკანასკნელ დროს მთავრობის მზრუნველობა ამ მიზეზზე მიიქცა.

მართალია, დიდი ხანია მას აქედ, რაც მთავრობა და თვით საზოგადოებაც შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ ამ მხრით უშველოს რამე სოფელსა. წამლად აღმოაჩინეს სხვა-და-სხვა წვრილი ბანკები, რომ სოფლელმა ხელი გაიმართოს შეღავათიან და რიგზე მოწყობილ სესხითა. ამ წვრილმა ბანკებმა, რომელნიც თვითონ სოფლის თაოსნობაზე იყვნენ დამყარებულნი და წევრთა ურთიერთს ნდობაზე აგებულნი, ცოტად თუ ბევრად გაუადვილეს ფულის შოვნა სოფლელს და შეუღავათეს სარგებელი, მაგრამ გამოცდილებამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ საკმაო სიკეთემდე ამ ბანკებს ბევრი რამ აკლიათ. ამისთანა ბანკებს მეტად პატარა ფარგალით მოუხაზეს სარბიელი მოქმედებისა, ასე რომ მარტო ერთგვარი ოპერაციები შეეძლოთ, სახელდობრ, ფულის გაცემა თავდებობის თამასუქებით ექვსისა და სულ ბევრი ცხრა თთვის ვადით. თავდებობით თამასუქების გარედ სხვა ყოველივე მოქმედება ბანკისა აკრძალული იყო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვერც თვითონ ბანკებმა გაშალეს საკმაოდ ფრთები და ვერც დიდი ხეირი მოუტანეს თვით სოფლელს, რომელთ საჭიროებაზე არ იყო გამოჭრილი კრედიტი ამ ნაირ ბანკებისა. მოკლე ვადიანი სესხი თამასუქით და ისიც თავდებობით მეტად უმძიმდა სოფლელს, რომლის ღონე უფრო მისს საკუთრებაშია, მისს ნაამაგევში და გძელ ხანაში, რომელსაც ბუნებითად ითხოვს თვით მისი სოფლური შრომა და წარმოება. გამოირკვა, რომ ხსენებულმა ბანკებმა საკმაოდ ვერ მოუმართეს ხელი სოფლელსა და ვერც თვითონ იხეირეს.

ეხლა, Правительственный „Вѣстникъ“-ის სიტყვით, მთავრობას დაუნახავს საჭიროდ კრედიტი წვრილ სასოფლო ბანკებისა შეუფეროს სოფლელის საჭიროებას. გამოცხადებულია ახალნი წესნი, რომლის ძალითაც მოქმედებას სოფლის წვრილ ბანკებისას უფრო დიდი და ფართო სარბიელი გაეხსნა. ამ წესებით ნებადართულია სოფლის წვრილმა ბანკებმა გირაოდ მიიღონ უძრავი და მოძრავი ქონება და შუამავლობა გაუწიოს სოფლელს სყიდვასა და გასყიდვაში. ამ სახით გლეხს შეუძლიან ისესხოს ბანკიდამ ფული და გირაოდ მისცეს თვისი უძრავი ქონება, რომელიც სრული მისი საკუთრებაა. ეს გვარი ოპერაცია უნდა მოხდეს აწ არსებულის წესით, ესე იგი, დაგირავებულს მამულს დაედება „запрещенie“ და ვალის ამღებს ჩამოერთმევა ხელშეკრულობა, რომ არავითარის განკარგულებით არ დააფოლოს ღირებულება გირაო მამულისა, მაგალითებრ, არ გასცეს მამული იჯარით ხანგრძლივ ვადით, არ გაჰყიდოს ხელ-აღებით გასაკაფად ტყე და სხვა ამ გვარი და ამასთან, თუ დაგირავებულ მამულში შენობაა რამ, ცეცხლისაგან უშიშარ ჰყოს დაზღვევითა. სესხი მიეცემათ ხუთის წლის

## ფელეტონი

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

**ჩვენის-მეცნიერის ჩხირ-კედელობა**

„ჩვენი ძველი გმირები“, თხზ. გ. წერეთლისა. „კვალის“ პრემია.

უკანასკნელს ხანებში ჩვენმა მეცნიერმა გ. წერეთელმა, გაზეთ „კვალის“ ბაირაღტარმა და სულის ჩამდგმელმა, საჯაროდ გამოაცხადა, რომ მე ის აღარ ვარ, რაც წინად ვიყავი, მე ეხლა „ეკონომიურ მატერიალიზმის“ მიმდევარი ვარო; ამ მოძღვრების მიმდევართ ჩვენში სახელიც-კი მე დავარქვიო, ვუწოდე მათ „მესამე დასიო“ [1]). თუმცა აქამდე მეორე დასის წარმომადგენელი ვიყავიო, მაგრამ „წილად მხვდა ყველაზედ ადრე შემენიშნა ეს ახალი პროგრესიული მოვლენა (ეკონ. მატერიალიზმი) ჩვენს ცხოვრებაშიო“.

გ. ე. წერეთელს ძალიან უყვარს სიტყვა „პროგრესიული“, მაგრამ იქნება მისი მეცნიერება ამ ცალიერ სიტყვას იქით არც-კი მიდიოდეს. რომელ დასშიაც-კი გ. წერეთელი გარეულა, ის უთუოდ „პროგრესიული“ ყოფილა. წინად ის თურმე ეკუთვნოდა,—მისივე სიტყვით, რასაკვირველია,— „პროგრესიულ-დემოკრატიულ“ დასს. აგერ გაიღო გემო „ეკონომიურ მატერიალიზმისა“ და მეორე დასს მსწრაფლ დაეკარგა „პროგრესიული“ ხასიათი და დაეკარგა კიდევ იმიტომ, რომ გიორგი წერეთელი გაექცა იმ დასს. ახლა „პროგრესიული“ ის დასია, რომელშიაც გადავიდა იგივე გ. წერეთელი, ე. ი. დასი „ეკონომიურ მატერიალიზმის“ მოძღვრებისა. როგორც ჰხედავთ, „პროგრესი“ და „პროგრესიული“ გ. წერეთლის ყურ-მოჭრილი ყმა ყოფილა; სადაც გ. წერეთელი მიბრძანდება, იგიც, ვითარცა მონა, თან მისდევს.

რაოდენი სიმართლე მიუძღვის გ. წერეთელს ჩვენს მოღვაწეთა სამ დასად დაყოფაში; რაოდენის მართალის აღლით ჰზომავს და აფასებს იგი თავისს თავსა და სხვებს,—ამ საგანზედ ეხლა არას ვიტყვით; ეს შორსაც წაგვიყვანს და არც შეადგენს საგანს დღევანდელის ჩვენის წერილისას. მხოლოდ გაკვრით, „გზა და გზა, აღვნიშნავთ იმას, რომ ერთმა წარჩინებულმა ჩვენმა მწერალმა აკაკი წერეთელმა, რომელსაც გ. წერეთელი თავისთან ერთად მეორე „პროგრესიულ — დემოკრატიულ“ დასელად სთვლიდა, საქვეყნოდ გამოაცხადა თავისს „კრებულში“, რომ მე არც მეორე დასელი ვყოფილვარ და არც მჯერა მაგ დასის არსებობაო.

იმ საკითხსაც მხარს ავუქცევთ, თუ „ეკონომიურ მატერიალიზმის“ მიმდევართ რამდენად უხდება სახელი „მესამე დასი“. ეს სულ რთული საკითხავებია; მათი განმარტება მოითხოვს დიდს დროსა და ადგილს; მათი დომხალივით არევა ერთმანეთში და ერთს, თაგვის კუდის ტოლა, სტატიაში აღნიშვნა ეხერხება მხოლოდ „პროგრესიულ-დემოკრატიულ“ და აწ „პროგრესიულ-ეკონომიურ“ მატერიალისტს ბ-ნს გ. ე. წერეთელს. ეხერხება და ღმერთმა მეტი შნო მისცეს!

ჩვენ აქ მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა არის ახალი მოძღვრება, რომელსაც გ. ე. წერეთელი დასდგომია, რომელიც მან „პირველმა“ ჩვენში შენიშნა, დააფასა და მოძღვრად გაუხდა.

საქმე ის გახლავთ, რომ რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, რაც-კი კაცის აზრმა მუშაობა და ფიქრი დაიწყო, ერთი საკითხი არ აძლევდა მოსვენებას: რა ჰქმნის სოციალურს პროგრესს? ყოველმა დიდმა ფილოსოფოსმა, ყოველმა დიდმა მეცნიერმა ამ საკითხს თავისი პასუხი მისცა. გარნა ამ აუარებელ აზრსა და მსჯელობას შორის ცხადად სჩანს ორი მთავარი პასუხი. ერთის სიტყვით, რაც-კი აქამდის თქმულა ამ საგანზედ, იყოფა ორს მთავარ აზრად: ერთნი ჰფიქრობენ, რომ სოციალურს პროგრესს, თუ საზოგადოდ ისტორიას, ჰქმნიან კაცის ფიქრები, აზრები, იდეები; რომ დროთა განმავლობაში კაცობრიობას ებადებიან ნიჭიერნი, გენიოსნი კაცნი; ესენი ჰქმნიან აზრებს, იდეებს. ხალხი, ერი, კაცობრიობა ისმენს ამ აზრებს, ითვისებს და იმისს თანახმად აკეთებს, ჰქმნის ისტორიას. ამ მოძღვრებით ყოველთვის და ყოველგან ხალხი წარმოადგენს ესრედ წოდებულს სარდლებს და ბრბოს; ბრბო აკეთებს იმას, რასაც ჰბრძანებენ სარდლები. ისტორია ნაყოფია სარდლებისა, გონების მეფე-კაცებისა. ისტორიულ მსვლელობას, პროგრესს, არა აქვს მკვიდრი და შეურყეველი კანონები; ხშირად ისტორია დამოკიდებულია სულ უბრალო შემთხვევაზედ. ისტორიულნი გარემოებანი გვიქადიდნენ ასეთს თუ ისეთს შედეგს, მაგრამ აგერ მოევლინა ქვეყანას ნაპოლეონი, თამარ მეფე, პეტრე დიდი, პატარა კახი და მთლად უკუღმართად შეიცვალა ჩვენი მოლოდინი. დიდბუნებოვანმა კაცმა დაარღვია ისტორიული თანდათანობა, ისტორიული აუცილებლობა და სულ სხვარიგი

[1]) იხ. „კვალის“ № 46, ნოემბრის 2, მეთაური: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზდობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადით და ამასთან ამ გვარივე სესხი მიეცემათ მიწის სასყიდლად და ყოველ გვარ სასოფლო-მეურნეობის განკარგებისათვის, მაგალითებრ, გუბეების და ჭაობების ამოსაშრობად, სარწყავის წყლის გამოსაყვანად, ხილის ბაღისა და ვენახების ასაშენებლად, ახოების გამოსაღებად, შენობის ასაგებად, აგრეთვე წისქვილების დასადგმელად, სამჭედუროების, სადურგლოების, აგურისა და თიხის ჭურჭლის ქარხნების გასამართავად და სხვა სახელოსნოებისა და საქარხნოებისა.

ხოლო გარდა უძრავის ქონებისა შესაძლოა სოფელმა ფული ისესხოს ბანკიდამ და თავისი მოძრავი რამ ქონება გირაოდ მისცეს. ეს მეორე გვარი ოპერაციაა, რომლის ნებაც აქამდე სოფელში არსებულ წვრილ ბანკებს არა ჰქონდათ. ახალის წესის ძალით, გლეხს შეუძლიან ბანკიდამ ფული გამოიტანოს და გირაოდ დაუდვას სოფლის მეურნეობის ყოველ გვარი ჭირნახული, პური, სიმინდი, ფეტვი და სხვა ამ გვარი, აგრეთვე ხელით რამ ნასაქმი და შინ-ნაკეთებები. ამისთანა გირაოს ან თითონ ბანკი მიიბარებს და თავისს საკუჭნაოებში ინახავს, ან ჩააბარებს თვითონ პატრონს იმ პირობით, რომ პასუხის-გებაში მიეცემა, თუ პატრონმა გირაოს ან მოაკლო რამ, ან ვერ უპატრონა რიგიანად. ბანკს ნება აქვს მიცემული, რომ თუ ვინიცობაა თვითონ მიიბარა შესანახად გირაო, გირაოს პატრონს ამისათვის გადაახდევინოს ასის თავზე არა უმეტესს სამისა (3%). წესდებაში მოხსენებულია, რომ იგი მოძრავი ქონება გლეხისა არ მიიღება გირაოდ, რომელნიც დასახელებულნი არიან კანონში და გლეხს არ გაეყიდება არც კერძო ვალში, არც სახელმწიფო გადასახადისათვის. ამისთანა სესხის აღების ნიშნად, სესხის ამღებს ჩამოერთმევა თამასუქი, რომელიც განთავისუფლებულ იქმნება ღერბის გადასახდელისაგან. ამისთანა თამასუქს ვექსილის ძალა ეძლევა და ამიტომ აქ ვალის პასუხის გამცემია არა მარტო გირაოდ მიღებული მოძრავი ქონება, არამედ სხვა ყოველი ქონებაც ვალის ამღებისა.

მესამე აპერაცია, ახალის წესით ნებადართული, შუამავლობაა ბანკისა სყიდვა-გასყიდვაში სოფლელისათვის. ბანკს ნება აქვს შუამავლობა გაუწიოს თავისს წევრთ ყოველ იმაში, რაც სასყიდელი აქვს და რაც გასასყიდი და ბანკის შემწეობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ კარგი საქონელი რაც შეიძლება იეფად უყიდოს და კარგს ფასად გაუყიდოს ნაწარმოები რამდენადაც შესაძლოა. თუ წევრს რისამე სყიდვა უნდა, ბანკს ნება აქვს ამისათვის ფული ასესხოს და გირაოდ მიიღოს ნასყიდი. ბანკს აგრეთვე ნება აქვს თვისთა წევრთა ნაწარმოების გასასაღებლად იჯარები აიღოს, პირდაპირ ანგარიში დაიჭიროს მუშტართან, ანუ სხვა და სხვა გვარ დაწესებულებებთან და სოვდაგრებთან, ანუ თითონვე საჯაროდ გაჰყიდოს თავისს საკუთარს სადგურში წევრთა მონდობილობით და ნება-რთვითა.

ზემოხსენებულიდამ აშკარაა, რომ სასოფლო წვრილ კრედიტს მთავრობამ ახალის წესით ფართო სამოქმედო გზა გაუხსნა და უფრო მეტად შეუფერა იგი გლეხთა ეკონომიურ ძალ-ღონესა და საჭიროებას. თუ ამისთანა ბანკებს რიგიანი კაცები შეურჩია სოფელმა გამგებელად, იმედია, რომ ბევრს სიკეთეს მოუტანს გლეხ-კაცობას. ხოლო საკითხავი ეს არის: ითავებს ვინმე ჩვენში, რომ ამ ბანკების აქ ფეხის ასადგმელად მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გასწიოს და თაოსნობა იკისროს?

# ახალი ამბავი

⁂ 15 იანვრიდგან მთავარ მართებლის კანცელარია შეუდგება განხილვას კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის ა. ა. ფრეზეს მიერ აღძრულის საგნისას, რომელიც ამიერ-კავკასიაში სამაზრო პოლიციის დარაჯთა წესის შეცვლას შეეხება.

⁂ ტფილისში ამას წინად სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართულის ბალის შემოსავალი 3 ათ. მანეთამდეა. ხარჯს გამოკლებით სათავად-აზნაურო სკოლას 2,500 მანეთი დარჩება ნაღდი ფული.

⁂ გუშინ-წინ „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში მოსკოვის უნივერსიტეტისა და სხვა მაღალ სასწავლებლების სტუდენტად ნამყოფთა წლიური სადილი იყო გამართული, სადილს 68 კაცი დაესწრო. დამსწრეთ გაუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორს დეპეშა, რომელსაც ქვეშ უხუცესმა სტუდენტმა კ. პ. იანოვსკიმ მოაწერა. დამსწრეთ ერთმანეთში 300 მანეთი მოკრიბეს ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად. ამას გარდა, აღძრეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაარსდეს ტფილისში კავკასიელ ხელ-მოკლე სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება. ამ პროექტის შემუშავება მიანდვეს მომავალის წლიურის სადილის გამგეთ, სახელდობრ, ბ-ნთ ანანოვსა, ელჩუკოვსა, ისაევსა, მილიუტინსა, ოპოჩინინსა, სტრუვესა, ფრენკელსა და შევალიეს.

⁂ ავლაბრის ხიდი იმდენად დაძველდა, რომ ზედ სიარული თითქმის საშიშიც გახდა და ქალაქის გამგეობა-კი ყურადღებას არ აქცევს. აქა-იქ ხიდზედ იმოდენა ნახვრეტებია, რომ ღამით სიარული თითქმის შეუძლებელია.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ ატყობინებენ ყაზახიდგან, რომ ყაზახის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე თავ. ი. დ. ჭავჭავაძე თავს ანებებს თანამდებობასაო. იქაური საზოგადოება მეტად სწუხს თურმე თავ. ჭავჭავაძის წასვლისა გამო.

⁂ გაზ. «Рус. Вѣд.» სიტყვით, ამ ახლო მომავალში მთავრობა განიხილავს საგანს ახალის სპეციალურის სასწავლებლებისა და აგრეთვე კავკასიაში უმაღლესის სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ უკანასკნელის საგნის განხილვას, გაზეთის სიტყვით, დაესწრებიან ტფილისის, კავკავის, ქუთაისის, ეკატერინოდარის და კავკასიის სხვა ქალაქების წარმომადგენელნი. გაზეთი უმატებს, რომ არ არის გამორკვეული კავკასიაში პოლიტეხნიკუმი, თუ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სასპეციალო განყოფილებით იქმნება დაარსებულიო.

⁂ ს. კაიშაური, (მთიულეთი). 11 იანვარს, დიდით პატარამდე ს. კაიშაურელნი და აგრეთვე გარეშე სოფლელები შევიკრიბენით ჩვენს ეკკლესიაში და შევავედრეთ ჩვენგან დაუვიწყარის მეფე ერეკლეს სული უფალს.

⁂ ქიზიყი. საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებამ აცნობა ქიზიყის დეპოს გამგეობას: იანვრის 15, 16, 17, და 18-ს კრება იქმნება ტფილისში თამბაქოს საქმეთა გასაუმჯობესებლად და კარგი იქნება, რომ ქიზიყის მეთამბაქოებიც დაესწრნენ ამ კრებასო. საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების წინადადება დიდის სიხარულით მიიღეს მთელმა ქიზიყის პლანტატორებმა ერთხმად, მოახდინეს მაშინვე კრება და ამოირჩიეს თავიანთ შორის გასაგზავნად: ი. მატიაშვილი, გ. ალადაშვილი და ს. ზედელაშვილი. გულით ვისურვებთ, რომ ადრე და მალე დაეარსებინოთ პლანტატორებს ქვეყნისათვის გულ-შემატკივარ კაცების წყალობით თამბაქოს საზოგადო საწყობი და ამ გზით დაჰღწეოდნენ თავიანთ დამღუპავ ჩარჩებს.

⁂ სოხუმი. 11 იანვარს, მეფე ერეკლეს ასის წლის გარდაცვალების სულის მოსახსენებლად აქაურს საკრებულო ტაძარში დეკანოზ დავით მაჭავარიანის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. საზოგადოება ბლომად დაესწრო. დეკანოზმა დ. მაჭავარიანმა სიტყვა წარმოსთქვა ქართულად და გააცნო დამსწრე საზოგადოებას, ვინ იყო გმირი მეფე ერეკლე. ყველამ დიდის სიამოვნებით მოისმინა ეს სიტყვა.

⁂ სად. წესი (რაჭის მაზრა). ვერ წარმოიდგენთ რა გაჭირვებაში ჩავარდება ხოლმე ის მგზავრი, რომელიც ამ სადგურში ჩამოდის. თითონ სადგურში ბუფეტი და სადგურს მახლობლად სამიკიტნო გამართული აქვთ ორ ვაჟბატონს და რასაც უნდათ იმას ახდევინებენ მგზავრებს სასმელ-საჭმელში. ამას კიდევ ვინ ინაღვლის, უბედურება ის არის, რომ ეს ვაჟბატონები, რაკი ერთი ხელში ჩაიგდებენ მგზავრს, ტკბილ-ტკბილ სიტყვებით იმდენს ხანს დასტოვებენ ხოლმე თავიანთს სამიკიტნოში, ვიდრე ჯიბეს სულ ერთიანად არ დაუცარიელებენ.

⁂ ქ. ქუთაისი. 26 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებულ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ საღამო იქმნა გამართული და ხარჯს გარდა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ 200 მან. დარჩა.

⁂ გორი. 11 იანვარს, აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ, ოქონის ღვთის მშობლის ეკკლესიაში, გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი დიდებულის გმირის მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დეკანოზმა გ. გ. ღამბარაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაგვიხატა დიდებული სურათი მამულისათვის თავ-განწირულის გმირისა და ბოლოს აღწერა ისიც, თუ რა ღვაწლი დაუდვია განსვენებულ მეფეს კერძოდ ჩვენის ქ. გორისათვის.

⁂ სოფ. ჯურუყვეთი. ჩვენი სოფელი ადგილ-მდებარეობით გურიის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება. მამულები მშვენიერს მოსავალს იძლევა, სოფელს ნადირით სავსე ტყე აკრავს და კარგა მოზრდილი მდინარე ჩამოუდის, რომლის შემწეობითაც ჭირნახული ჩააქვთ ფოთში და ცოტაოდენს ფულსა ჰშოულობენ. სოფელში ერთი ნორმალური და სამი სამრევლო სასწავლებელია. სასწავლებლები კარგა ბლომად წერა-კითხვის მცოდნე ბავშვებს გვიზრდიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც ერთი გლეხი არა ჰგზავნის შვილს რომელსამე საშუალო სასწავლებელში სწავლის დასამთავრებლად. დიდი ხანია, რაც ჩვენი სოფლის შესმენილი ახალგაზდობა შუამდგომლობდა, რომ ნება მოგვეცით სამკითხველო დავიარსოთო, მაგრამ დღემდის არაფერი ისმოდა. ახლა-კი მღვ. ვ. ჩხაიძის მეცადინეობით წარსულ წლის დეკემბერს ნება-რთვა მოგვივიდა და კიდეც დაარსდა წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ამავე მღვდლის მეცადინეობით დაარსდა აქ სამრევლო სასწავლებელი და სასოფლო სასიმინდე. მღვდლის ყოველმა მრევლთაგანმა წელიწადში ორი ფუთი უნდა შეიტანოს სასიმინდეში და როცა საკმაო თანხა მოგროვდება, მაშინ სასოფლო ბანკის დაარსება უნდა პატივცემულს მოძღვარს. თუმცა წიგნთ-საცავი დავიარსეთ, მაგრამ სიმართ-

---

მიმართულება მისცა.

ასეთს შეხედულებას პროგრესისა და ისტორიის შესახებ მრავალის საუკუნის განმავლობაში ჰქონდა შეპყრობილი კაცის გონება. მხოლოდ შიგა-შიგ, ძალიან იშვიათად, გაისმოდა ასეთი აზრიც: ისტორიას თავისი კანონები აქვს, ისტორიულ ვითარებას წინ ვერ გადურბენს ვერავინ, რაც უნდ დიდებული იყოს იგი. ამ შეხედულებას მეცნიერული საბუთები დაუდეს და ერთს დასრულებულ მოძღვრებად აქციეს ჩვენს დროში გერმანიის სწავლულებმა კარლ მარქსმა და ენგელსმა. აი ამათს მოძღვრებას ეწოდა „ეკონომიური მატერიალიზმი“ ანუ „მატერიალური შეგნება ისტორიისა“ (матеріалистическое пониманіе исторіи). ესენი ამბობენ: ეკონომიური ვითარება, კაცთა შრომისა და ნაშრომის განაწილება ჰქმნის კაცთა შორის დასებს (თავადები, აზნაურები, მეფეები, სამღვდელოება, გლეხები — მოსაკუთრენი, ბოგანო, უმიწა-წყლო კაცები). ისტორია სხვა არა არის-რა, თუ არ დასთა ბრძოლა ეკონომიურს სარბიელზედ გასამარჯვებლად. ამ ბრძოლამ შექმნა ერთმთავრობა, მანვე დაამხო იგი, მანვე შექმნა კეთილშობილთა წოდება და მანვე დაამხო იგი, მაგალითებრ, ევროპაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველივე კაცთა შორის: სახელმწიფო, კანონი, სარწმუნოება, სწავლა, ფილოსოფია, ეთიკა, ყველა ამ ბრძოლის შედეგია. კაცი, რაც გინდ დიდებული იყოს, ყმაა ეკონომიურის ვითარებისა. რაც გინდ დიდებული აზრები მოუვიდეს კაცს, რაც გინდ დიდებული პროექტი შეადგინოს სოციალურ შენობის გადასაკეთებლად, ყოველი მისი ცდა ამაო და უნაყოფო იქმნება, თუ იგი აზრი და პროექტი არ შეესაბამება არსებულს ეკონომიურს ვითარებას ერისას.

აი, მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს არის თავი და ბოლო „ეკონომიურ მატერიალიზმის დედა-აზრისა“. უმორჩილესად ვთხოვთ მკითხველს, კარგად დაიხსომოს ეს დედა-აზრი „ეკონომიურ მატერიალიზმისა“, რადგან ჩვენ ქვემოდ დავამტკიცებთ, რომ ჩვენს ცრუ-მეცნიერს გ. ე. წერეთელს სრულიად ვერ გაუგია აზრები იმ მოძღვრებისა, რომელსაც ის ასეთის ფახი-ფუხით მიემხრო და რომლის მეთაურობასაც ჩემობს.

იმის საბუთად, რომ ჩვენ არა ვსცდებით „ეკონომიურ მატერიალიზმის“ ასე დასურათებით, აქვე წარმოგიდგენთ თვით კარლ მარქსის აზრს. „კაცობრიობა დაიდგენს ხოლმე გადასაწყვეტად მხოლოდ ისეთს საკითხს, ამბობს იგი, რომლის გადაწყვეტაც შეუძლიან, რადგან, უკეთუ საგანი ახლო გავსინჯეთ, აღმოჩნდება, რომ თვით საკითხი (სოციალური ცვლილება) დაიბადება ხოლმე მაშინ, როდესაც მატერიალური ვითარება მის გადაწყვეტისა უკვე არსებობს“. [2])

აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რომელი ამ ორ შეხედულობათაგანია ჭეშმარიტი. ეს რთული საგანია და მისი მოკლედ გადაწყვეტა მხოლოდ ცრუ-მეცნიერებს ეადვილებათ. ჩვენი ნიშანში ამოღებული საგანი მხოლოდ ის არის, ავხსნათ, ფაქტებით განვმარტოთ, რამდენად შეუგნია ბ-ნ გ. ე. წერეთელს „ეკონომიური მატერიალიზმი“, რომლის ბელადობას თვით-ნებობით ჰჩემობს ჩვენში.

ყოველს ჭეშმარიტს მიმდევარს „ეკონომიურის მატერიალიზმისას“ თმა ყალხზედ შეუდგება და დაჰგმობს გ. ე. წერეთელს, როდესაც გადიკითხავს მისს ახალს შრომას, „კვალის“ პრემიას: „ჩვენი ძველი გმირები“.

„მატერიალური ეკონომისტი“ გ. ე. წერეთელი შესდგომია ისტორიულ სურათების თხზვას და მასალად აუღია ძველის-ძველი ხანა საქართველოს ისტორიისა, სახელდობრ, ფარნაოზის დრო. ნამდვილის ისტორიულ ამბების უქონლობის გამო საკუთარის ფანტაზიისთვის მიუცია სრული უფლება და გვიამბობს ისეთ რამეებს, რაიცა არც ყოფილა ნამდვილად და წარმოსადგენადაც ძნელია. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია. თუ მკითხავთ, ეს ერთის მხრივ კარგი პირობაც იყო „ეკონომიურ მატერიალისტის“ გ. ე. წერეთლისთვის. რაკი სთხზავდა და იგონებდა მრავალ წვრილ ამბებს და მით ავსებდა და ასურათხატებდა ჩვენს ცალმხრივსა და უსრულს მატიანეს, მას შეეძლო აქ სავსებით დაეხატა სურათი იმისი, თუ მართლაც-და როგორ და რა ნაირად ჰქმნის ისტორიას არა ერთი ადამიანი, არა ერთი წოდება, არამედ ბრძოლა კლასებისა ეკონომიურ ასპარეზზედ პირველობისათვის. ყოველი ჭეშმარიტი მარქსისტი, რასაკვირველია, ამას მოელოდდა გ. ე. წერეთლისაგან, როგორც „ეკონომიურ მატერიალისტისაგან“. მაგრამ წარმოიდგინეთ! „მესამე დასის“ ბაირაღტარმა აქ უღალატა თავისის დასის მთავარ მოძღვრებას. ის ვერ ასცილდა იმ უხეირო ისტორიკოსების აზრს, რომელთა ფიქრითაც ისტორია ზევიდგან შენდება, ისტორიას ჰქმნის ერთი კაცი, ისტორია ერისა არის სხვა არა—რა, თუ არ ბიოგრაფია მეფისა, ანუ ისტორია მისის ომებისა.

[2]) იხ. „Новое Слово“, октябрь 1897 г., ст. „Классическя школа и историко-этическое направленіе въ политической экономіи“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე უნდა სთქვას კაცმა, რომ ჯერჯერობით მეტად ცოტა წიგნებია სამკითხველოში.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ქუთაისის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ დაარსებულის წიგნთ-საცავის ანგარიშში გამორჩათ ქ. ა. პეტრიაშვილი, რომელმაც 2 მან შემოსწირა, თ. მთავრიშვილი—2 მან., ე. თუთბერიძე—2 მან., მ. მესხი—2 მან. და ქ-ნი ლორთქიფანიძისა.

## ქალაქის საბჭო.

12 იანვარი

კრება დაიწყო $8^1/_2$ საათზედ.

**თავმჯდომარე.** რადგანაც ამა წლის თებერვალში კავკასიის მთავარ-მართებელი წაბრძანდება პეტერბურგში, სადაც იმისის თანადასწრებით განხილული იქმნება საგანი კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, ამიტომ ვთხოვ საბჭოს, ვიდრე სიაში დასახელებულ სხვა საგანთა განხილვას შეუდგებოდეს, განიხილოს ჩემი წინადადება იმის შესახებ, რა მონაწილეობას მიიღებს ქალაქი, თუ პოლიტეხნიკუმი ტფილისში იქმნება დაარსებული. პოლიტეხნიკუმი ბევრს სარგებლობას მოუტანს იმ ქალაქს, სადაც იგი დაარსდება. სულიერი საზრდოს გარდა, იგი ქონებითაც ბევრს შესძენს. პოლიტეხნიკუმის წყალობით ქალაქს აუარებელი ხალხი მოაწყდება, ვაჭრობა იმატებს; ხალხის სიმრავლე და ვაჭრობა-კი ქალაქის კასსას გაამდიდრებს. ამ რიგად პოლიტეხნიკუმი ქონებრივად სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქალაქს და ამიტომ საბჭომ იმისათვის ფული არ უნდა დაჰზოგოს. საფინანსო კომისიამ, განიხილა რა ეს საგანი, დაადგინა გადასდოს პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ იმ დღიდგან, რა დღესაც იგი დაარსებული იქმნება ტფილისში, 30,000 მანეთი წელიწადში. იმედია, ქალაქის საბჭო შეიწყნარებს ამ წინადადებას. მართალია, ამ ჟამად ჩვენი კასსა გაჭირვებულს მდგომარეობაშია, მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ გამოკეთდება და არ გაუძნელდება ამ ფულის გადადება.

**ხმ. დოლუხანოვი.** ჩემის აზრით, თუნდა ერთის წლის შემდეგ დაარსდეს პოლიტეხნიკუმი, ჩვენ მაინც შევძლებთ 30 ათასის მან. მიცემას.

**ხმ. ა. ს. ბაბოვი.** მე თანახმა ვარ გადავსდოთ მაგ საქმისათვის 30 ათ. მან., მაგრამ წინაამდეგი ვარ წავუმძღვაროთ მაგას ის საბუთები, რომელიც ბ-ნმა თავმჯდომარემ წარუმძღვარა. პოლიტეხნიკუმის დაარსება იმიტომ-კი არა გვსურს, რომ იგი ქალაქს გაამდიდრებს, არამედ იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებელია და უმაღლესს ცოდნას შესძენს მსურველთ.

**ხმ. ხუდადოვი.** ჩემის აზრით, მაგ საქმეს ჩვენ იმ თვალით არ უყურებთ, რა თვალითაც უნდა შევხედოთ. ამბობენ, რომ ჯერ ქალაქმა უნდა გადასდოს 30 ათ. მანეთი და მერე სხვებიც შესწირავენო. მე-კი მგონია, რომ პირველადვე შემოწირულებას უნდა შევსდგომოდით და ქალაქის კასსას არ მივვარდნოდით. რაც შეეხება თვით 30 ათ. მან. გადადებას, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვთქვა, რომ ჩვენის მხრით მაგოდენა ფულის გადადება პოლიტეხნიკუმისათვის უსამართლობა იქმნება. პოლიტეხნიკუმი მთელს ქალაქს სარგებლობას ვერ მოუტანს, იგი კერძო წოდებისათვის იქმნება და არა მთელის ქალაქის მკვიდრთათვის, ხოლო მთელი ქალაქი და იმის მკვიდრნი ბევრს ისეთს რასმეს ჰსაჭიროებენ, რომელთა დაკმაყოფილება ჩვენი პირდაპირი ვალდებულებაა, მაგ., ქუჩების მოკირწყვლა, განათება და მრავალი სხვ. გარდა ამისა, განა ჩვენს ქალაქში პირველ დაწყებითის სწავლის საქმე ისე კარგად არის დაყენებული, რომ მაგოდენა ფული უმაღლესის სწავლისათვის გადავდოთ. ღარიბისათვის პოლიტეხნიკუმის კარები მაინც დაკეტილი იქმნება. იმას პირველ-დაწყებითსა და საშუალო სწავლასაც არ ვაძლევთ და მდიდრებისთვის პოლიტეხნიკუმს ვაარსებთ. ვიმეორებ, ამ სიტყვების გამო მე ბევრი გამკიცხავს, მაგრამ ვალდებულად ვრაცხავი ჩემ თავს მეთქვა იგი და ვთქვი კიდეც.

**ხმ. ბუდდანოვ-ბაღდასაროვი.** ხმ. ხუდადოვი შემცდარია. ის, რომ ჩვენს ქალაქში პირველ დაწყებითი განათლება არ არის კარგად დაყენებული, იმას არა ჰნიშნავს კიდევ, რომ უმაღლესი სასწავლებელი ჩვენთვის საჭირო არ იყოს. ასე რომ განვსაჯოთ, მაშინ მთელს რუსეთშიც არ უნდა დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი, რადგანაც მაინც და მაინც არც იქ არის პირველ-დაწყებითის სწავლის საქმე კარგად წარმართული. მე სიხარულით ვეგებები პოლიტეხნიკუმის დაარსებას ტფილისში. ჩემის აზრით, 30 ათ. მან. ცოტაც არის.

**ხმ. ა. ს. ბაბოვი.** მართალია, ჩვენ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ მაგას რომ მივყვეთ, უმაღლესს სასწავლებელს ვერასოდეს ვერ ვეღირსებით. გარდა ამისა, ყველგან ევროპასა და რუსეთშიაც ჯერ მაღალს სასწავლებლებს აარსებენ, ხოლო შემდეგ დაბალს. ასეც უნდა იყოს.

**ხმ. შახ-აზიზოვ-გამსარკან.** მე მეგონა, რომ ყველანი სიხარულით მიეგებებიან პოლიტეხნიკუმის დაარსებას ტფილისში, მაგრამ შევმცდარვარ. როგორცა სჩანს არიან ისეთი ინტელიგენტები (სიცილი გაისმის), რომელნიც წინაალმდეგობას აცხადებენ. ხმ. ხუდადოვი შეიძლება კარგი ექიმი იყოს, მაგრამ, როგორც სჩანს, უხეირო ფინანსისტი ყოფილა. ეს სულ იმიტომ, რომ ხმ. ხუდადოვი შეკამათების სენით ყოფილა შეპყრობილი (სიცილი გაისმის).

**ხმ. შუსტაკოვი.** მე მგონია, თუ მთავრობას სურს დააარსოს ტფილისში პოლიტეხნიკუმი, იგი ჩვენს შეწირულებას ყურადღებას არ მიაქცევს. და ცოტაც რომ გადავდოთ, მაინც დააარსებს.

**ხმ. კანგუდოვი.** ჯერ ტფილისმა უნდა გადასდოს ფული და მაგალითი მისცეს სხვებს. თუ ტფილისმა არაფერი გაიმეტა, სხვა ქალაქებიც თითს არ გაანძრევენ და არაფერს შესწირავენ მომავალს პოლიტეხნიკუმს. პოლიტეხნიკუმი ყველას მოუტანს სარგებლობას და არა მარტო რომელსამე წოდებას.

ბოლოს საბჭომ დაადგინა გადასდოს იმ დღიდგან, რა დღესაც პოლიტეხნიკუმი იქმნება დაარსებული, იმის შესანახავად წელიწადში 30 ათასი მანეთი.

შემდეგ საბჭომ განაგრძო წარსულ კრებაზედ შეწყვეტილი ამა 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

კრება 11 საათზედ დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფელი ფშაველი,** (თელავის მაზრა), 18 დეკემბერი. ვისაც შიგნით კახეთი უნახავს, ის, უეჭველია, შენიშნავდა, რომ სოფლები აქ, უმეტესს ნაწილად, მთების ძირობზედ გაშენებული: მარჯვნივ გომბორის მთისა, ხოლო მარცხნივ კავკასიონის მთის კალთებისა. თითქმის ყოველ სოფელსა აქვს თავის საკუთარი „ბოლო“, ალაზნის პირამდე გაჭიმული, რომელიც სული და გულია თითოეულის სოფლისა თავისის სახნავ-სათეს, სამოვარ და ტყიან ადგილებით. ამ გვარ სოფელთა რიცხვში სოფელ ფშაველსაც უძევს წილი, მაგრამ მისი „ბოლო“, რომელიც 500 დესეტინაზე, თუ მეტი არა, ნაკლები აღარ იქნება, ახატლელ (ყარაჯალელ) თათრების ხელშია.

სოფელი ფშაველი 200 კომლამდე. უხარჯო, აზატი ხალხი და ქვრივ-ობოლი რომ გამოვაკლოთ, ხარჯის გამღები სულ 150 კომლამდისაც არ შესდგება. სოფლის მიერ გასაღები სხვა ათასი ხარჯი რომ არ ჩავაგდოთ ანგარიშში, მარტო სახელმწიფო გარდასახადი, ფოსტის ფული, ყოველ წელიწადს 2,400 მანათი შეაქვს თელავის ხაზინაში. რაც ახლა ამ სოფელს სახნავ-სათესი და სამოვარი ადგილები უჭირავს გარსულით 300 დესეტინას არ აღემატება. აი, ამოდენა ხარჯის მძლეველს სოფელს როგორ იქნება, რომ, დესეტინობით აღარ ვიტყვით, ათ-ათის დღის მიწა მაინც არ ეჭიროს კომლურად. მე ნამდვილად ვიცი, რომ ნახევარი ხალხი სოფელ ფშაველში სულ მთლად უმამულოა. ერთი ჩემი კარის მეზობელი, რომელსაც ერთი კვალი მიწაც არსად გააჩნია, რომ ნიორი მაინც მოიყვანოს, სახელმწიფო გარდასახადს 20 მან. იხდის ყოველ წლივ. აი კანონი და სამართალი!

უთუოდ მკითხველს ეინტერესება გაიგოს, თუ როგორ მოხდა ამ „კანონიერ და სამართლიან“ დროში, რომ ფშაველების საკუთარ დედულ-მამულს თათრები დაეპატრონნენ? ამის ავან ჩავანს ასე მოგვითხრობენ: ფშაველის „ბოლოზედ“ თუმცა მიწები კერძო მეპატრონეებს ეკუთვნოდათ, რომელთაც შიგა და შიგ თათრებისათვის უქირავებიათ, მაგრამ უმეტესი ნაწილი მთელის „ბოლოსი“ სასოფლო საზოგადო საძოვრებელი, ჯერ გაუყოფელ გაუნაწილებელი ადგილები ყოფილა. აი, ამ სასოფლო ადგილებისათვის მიუყვიათ ხელი წინანდელ სოფლის მოხელეებს ნაცვალ-მამასახლისებს, მათთან ერთად სოფლის „ტუზებს“, და სულ ჩუმ-ჩუმად სოფლის დაუკითხავად უქირავებიათ თათრებისთვის, სწორედ რომ ვთქვათ, უყიდნიათ თათრებზედ. ცხის შიგნიდან გატეხა ამასა ჰქვიან აი! ნეტა სხვა ერთაც აქვთ, თუ მარტო ქართველების კუთვნილებაა ეს ანდაზა?! აი, ამ რიგად დაუნარჩუნებიათ თათრებს ფშაველების „ბოლო“, სადაც ახლა ეს უკანასკნელები კიდეც სრულიად გამოდევნილები არიან. იშვიათად-ღა შეხვდებით, რომ ფშაველელს კაცს თავის სოფლის „ბოლოზედ“ სახნავი მიწები ჰქონდეს.

საფიქრებელია ამის შემდეგ, რომ სოფლის უმრავლესობა, დაინახავდა თუ არა ამ ოინებს, სამართალს მიჰმართავდა. ეს ასეც მოხდა, მაგრამ აი ორმოცი თუ ოც და ათი წელიწადი მაინც იქნება, რაც დავა აეტეხილი, საქმეს-კი არც ავად ეღირსა დაბოლოვება და არც კარგად. ამ შემთხვევაში კაცმა რა უნდა იფიქროს. მომჩივარ-მოპასუხეთ უნდა დასდოს ბრალი თუ მოსამართლეთ? აშკარაა ვის უნდა დაედოს ბრალი სამართლის და სხვა საჭირო სასარგებლო საქმეების მეორე მოხელემდე გახსენებისა. ამ სოფლის მცხოვრებნი ორ წელიწადში ერთხელ მაინც განაახლებენ ხოლმე საჩივარს, მაგრამ სამართალი-კი ამათამდე ვერ აღწევს, იქვე სადღაც ქაღალდებში იღუპება, როგორც კამეჩი მორევში. მე ნამდვილად შევიტყე, რომ ფშაველელებმა თავისის ძველის-ძველ საჩივრის ქაღალდებში, რომლებიც თელავის სამაზრო კანცელარიის არხივშია, იპოვნეს, ვგონებ, გუბერნატორის ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ თათრებს ჩამოერთვას ფშაველელების ადგილები და ჩაჰბარდეს პატრონებს. ამ ბრძანების „კოპიო“ წელს უკანვე ქალაქში დააბრუნეს და რა გამოვა, ამას ბოლო სცნობს.

ფშაველიშვილი

---

ცრუ-მარქსისტის, ცრუ-მატერიალისტის გ. ე. წერეთლის აზრით ისტორია აი როგორ იჭედება ანუ კეთდება: „ფარნავაზმა ჰსძლია ბერძნის ჯარი, მოჰკლა აზო, იმერეთში ერისთავად დასო ქუჯი, მეორე ერისთავი „დასვა“ მარგვისს... მესამე „დასვა“ არაგვზე... მეოთხე „გაგზავნა“ სამშვილდეს... შესია საბერძნეთის ქვეყანას და დაიპყრო ანძაძორი... ფარნაოზმა ათასი რჩეული ცხენოსანი, რომელნიც განუდგნენ აზოს, გახადა ასისა და ათასის თავებათ; მისცა მათ პატარ-პატარა ხეობები, კოშკები დააკეთებინა... ამათ ეწოდათ აზონაურნი. ფარნაოზი იმიტომ იმარჯვებს მტრებზედ, რომ მისმა დამ ეს წინადვე შეიტყო, თურმე მარეხი ვარსკვლავი ექვსი დღის განმავლობაში ერთხელაც არ მოეფარა ღრუბელს (გვ. 52), ფარნაოზი იმიტომ იმარჯვებს მტრებზედ, რომ მისს დედას სიზმარში ნანა-ღმერთი გამოეცხადა და დაჰპირდა დახმარებას (გვ. 53) „ამის შემდეგ მთელს საქართველოში განითქვა საიდუმლოდ ხმა ბატონის რძლის ბედნიერი სიზმრისა. ამან ხალხი უფრო აალელვა და შეაკავშირა აზოს წინაალმდეგ. მას უფრო მიეცა იმედი მტარვალის ხელიდგან განთავისუფლებისა. ფარნაოზი და მისი მომხრენი ამ წინასწარმეტყველებამ კიდევ უფრო განამხნევა“... (გვ. 55)

უვიცობა და უნიჭობა, ვგონებ, ამას იქით ველარ წავა! მარქსისტის გ. ე. წერეთლის აზრით ისტორიას „სიზმრები“ ჰქმნიან. ანუ ისტორია ასე იკინძება: ბძანა ფარნაოზმა და აშენდა ციხე-კოშკები; კიდევ ბძანა და გაჩნდნენ აზნაურები; ერთიც ბძანა და საქართველო აჰყვავდა, შეიქმნა დიდებულ სახელმწიფოდ. ერისთავები დააყენა ფარნაოზმა, ყველას სამხედრო და სამოქალაქო წესი მისცა. ერთის სიტყვით, საქართველოს ისტორია ფარნაოზის ხელში წააგავს ქოთანს, რომელსაც მეჭურჭლე საიდამაც უნდა, იქიდამ გამოაბამს ყურს. ამას გ. ე. წერეთლის აზრით ჰქვიან „ეკონომიური მატერიალიზმი“, ანუ „მატერიალური შემეცნება ისტორიისა“! ეს არის მისი ახალი „პროგრესიული“ მიმართულება! ჩვენ რომ ვხედავთ, გ. წერეთელს აკაკის „ლამურას“ ბედი ემართება: მეორე დასს მოსწყდა თავისის ნებით და „მესამე“ დასიდამ კიდევ კინწის კვრით გამოაგდებენ...

აი ასეთს გონების დამახშობელს ისტორიულ სურათებს უძღვნის თავისს მკითხველებს გ. ე. წერეთელი და თან დასძენს: „თუ რომ ამ წვლილით აღეძვრება გულში მკითხველს უკეთესი იმედები მომავლისადმი, ფრიად ბედნიერი ვიქნებით [*])“.

მერე, ეს განა შესაძლებელია? განა „ყარამანიანისთანა“ ზღაპრებს და ზღაპრებზედ აშენებულს „ყარამანიანისებურს“ ისტორიას ძალუძთ აღძრან რაიმე იმედები მომავლის მიმართ? გ. ე. წერეთლის აზრით საქართველოს განთავისუფლებაში აზოსაგან ორმა ფაქტორმა მიიღო მონაწილეობა: ფარნაოზის მიერ სრულიად შემთხვევით გამოქვაბულში ოქროს პოვნამ და დედის სიზმარმა. ამაზედ ღრმად ისტორიულის ამბების შეგნება ვერ მოუხერხებია ჩვენს მეცნიერს. იგივე გ. ე. წერეთელი მოგვითხრობს, რომ ოქროს ზოდები ფარნაოზს ირემმა აპოვნინა... მაშასადამე, საქართველოს განთავისუფლების მიზეზი ირემი ყოფილა. თქვენი მტერი, თუ ფარნაოზი სანადიროდ არ წასულიყო, ანუ მისს დედას იმ ღამეს სიზმარი არ ენახა! მაშინ ფარნაოზი ოქროს ზოდებს ველარ იპოვიდა, მაშასადამე აზოს ომს ველარ გამოუცხადებდა... ერთის სიტყვით, ძირეულად შეიცვლებოდა საქართველოს ისტორია... და ამის მიზეზი-კი სულ ირემი იქნებოდა! აი ლოღიკა „პროგრესიულ ეკონომიურ მატერიალისტის“ გ. ე. წერეთლისა!

„ეკონომიურ მატერიალიზმში“ თუ ფეხი მოიტეხა გ. ე. წერეთელმა, სამაგიეროდ კვლევასა და აღმოჩენაში მას ტოლი არ უნდა ჰყავდეს. მისის კვლევით ფარნაოზის დროინდელ ქართველთ ვენახისა და ღვინის შემუშავება არა სცოდნიათ და მეფის სასახლეში უსვამთ „ლუდი და ჭირნახულის ოტკა“ (გვ. 33). ერთიც ისა, რომ მაშინდელს საქართველოში ტილოს ქარხნები (фабрики?) ყოფილა (გვ. 43), მაშინდელს ქართველებს სცოდნიათ, რომ დედამიწა მრგვალია და ნანა-ღმერთის კერპს ხელში დედამიწის გლობუსი სჭერია (გვ. 21). კმარა. გავათავებთ წერილს გ. ე. წერეთლისებურის სიტყვებით: თუ რომ ჩვენ ცოტაც არის დავარწმუნეთ მკითხველი, რომ გ. ე. წერეთელს ისე მისდგომია „ეკონომიური მატერიალიზმი“, როგორც აქლემს ქულაჯა, ჩვენს თავს დაკმაყოფილებულად ჩავთვლით.

უკაცრავად, ერთი სასაცილო ამბავიც. 57 გვერდზედ გ. ე. წერეთელი სწერს: „ეს ქვემო მოყვანილი ალაგები მართლაც გადმოწერილია ერთ ჩემ ძველ ტყავზედ ნაწერ ეტრატიდგან პალეოგრაფიით“. ესე იგი: გ. ე. წერეთელს „თავის ტყავზედაც“ და ისიც „ძველზედ“ უწერია პალეოგრაფიით!! მოდი და ნუ გაგახსენდება პოეტის ლექსი:

„ოცი წელი შესრულდება,
„რაც მან სწერა, სწერა, სწერა!
„მაინც წერა ვერ ისწავლა,
„ვერა, ვერა, ვერა, ვერა!“

მე გახლავარ.

[*]) წინასიტყვაობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „კავკას“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რუს ამომრჩევლისა:

ნება მიბოძეთ, თქვენს გაზეთში აღვნიშნო ის ამბავი, რომელმაც ტფილისის ყველა მცხოვრებს შორის, განურჩევლად მათის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მარტო გაკვირვება-კი არა, სამართლიანი რისხვა და წყრომაც-კი გამოიწვია. ყველამ შეამჩნია, რომ ქალაქის თვით-მმართველობისაგან არც ერთი ოფიციალური წარმომადგენელი არ დასწრებია პანაშვიდს, რომელიც დიდის ამბით გარდახდილ იქმნა სიონის ტაძარში მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ექსარხოსის მიერ მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასის წლის შესრულებისა გამო.

ჩემის აზრით, დროა გამოირკვეს, ჯერ ჯერობით მწერლობაში მაინც, საზღვარი ქალაქის თვით-მმართველობის თვით-ნებობისა მისთა წარმომადგენელთა სხვა-და-სხვა საოჯახო ცერემონიების დროს დასწრების საქმეში.

ქალაქის თვით-მმართველობა დიდის ამბითა ჰგზავნის ხოლმე, არამცთუ დეპუტაციას, არამედ მთელს გამგეობას და თვით ქალაქის მოურავსაც იმ ვაჭართა დასაფლავებაზედ დასასწრებლად, რომელთაც ქალაქის დაწესებულებათათვის ცოტა რამ ფული შეუწირავთ ისიც ტენდენციურის აზრით და იგივექალაქის საბჭო სრულიად არავითარს ყურადღებას არ აქცევს სადღესასწაულო ამბებს, მჭიდროდ დაკავშირებულს იმ ქალაქის წარსულ ბედ-იღბალთან, რომლის წარმომადგენლებად მათ თავიანთი თავი მიაჩნიათ. ნუ თუ ასეთი საქციელი სათანადოდ უნდა ჩაითვალოს?! ჩემის აზრით, ამითი ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენლები არა თუ გარდადიან თავიანთ უფლებისა და მინდობილების საზღვარს, არამედ სრულიად უკუღმართად ჰხმარობენ ამ უფლებასა და მინდობილებას.

თუ ერთს წრეს, სხვა მხრიდგან გადმოხვეწილ კაცთაგან შემდგარს, რომელსაც შემთხვევით ჩაუგდია ხელში ტფილისის ეკონომიური ბატონობა (დიქტატურა), ისტორიის დასაწყისად მიაჩნია ის წამი, რა წამსაც ცოტად თუ ბევრად კანონიერად ბაქოში პირველმა შადრევანმა ნავთისამ ამოხეთქა, — ეს ხომ ჯერ უფლებას არ აძლევს ამავე წრეს ეს თვისი ცალმხრივი აზრი ჩვენის ქვეყნის ისტორიის შესახებ მთელს ტფილისს მოახვიოს თავზედ. საბჭო ამ შემთხვევაში ისე იქცევა, როგორც ნოქარი, რომელიც ბოროტად ჰხმარობს თვისის ბატონის სახელს.

ზემოხსენებულს პანაშვიდს დაესწრო ადგილობრივი უმაღლესი მთავრობა, წარმომადგენელნი ყოველ გვარ დაწესებულებისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა და თვით მაჰმადიანნიც-კი. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს საყოველთაოდ აღიარებულს ისტორიულს მნიშვნელობას გმირისას, რომელიც სისხლს ანთხევდა ამ ძველთაგანვე მართლ-მადიდებელ ქალაქისათვის; ამტკიცებს დიადს მნიშვნელობას ბრძენ-მეფისას, რომელმაც სამუდამოდ უზრუნველ ჰყო მშვიდობიანობა და განვითარება თავისის ქვეყნისა იმითი, რომ მძლავრს რუსეთს ჩააბარა. ამაოდ არ შეიკრიბა აუარებელი ხალხი მეფის ერეკლეს პანაშვიდზედ, დაივიწყა თვისი წვრილმანი ანგარიშები და ერთის გულითა და ერთის სულით შესწირა უფალს ლოცვა და ვედრება განსვენებულის მეფის სულის მოსახსენებლად. მხოლოდ ჩვენი საბჭო განზრახ განკერძოვდა, არ მიაქცია თვისი ყურადღება ამ მთელის რუსეთის იმპერიისათვის მრავალ-მნიშვნელოვანს დღეს და „დავიწყებას მისცა“ სახელი და ხსოვნა მოღვაწისა, რომელიც სიცოცხლეს არა ჰზოგავდა იმ ქალაქის დასაცველად, რომელსაც ეხლა საბჭო ასეთის ხერხით განაგებს თვისდა სასარგებლოდ. არაფრად მიიჩნია სახელი იმ გმირისა, რომელმაც თვისი და თავისის შთამომავლობის სამეფო გვირგვინიც-კი გასწირა, რომ მრავალ ტანჯულ თავისის ქვეყნისათვის მიენიჭებინა ყოველი სიკეთე დიადის საქრისტიანო კულტურისა.

ამ კულტურას ჩვენი ცალ-მხრივ კულტურული საბჭო, ეტყობა, ბევრს არას თანაუგრძნობს, მაგრამ ეხლა ეს ვიკითხოთ: მოუწონებენ თუ არა საბჭოს მისნი მომავლინებელნი ამ გვარს საქციელს და ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლება ამ გვარად მოქცეულიყო?!

* *
*

სომხურ თვიურ ჟურნალს „მურჰ“-ში დაბეჭდილია სამი წერილი ქართველთა შესახებ. ერთი წერილი ბ-ნს მირიმანიანს ეკუთვნის და ქართულს მწიგნობრობას შეეხება. ორი წერილი შეეხება ქართველთა ვითარებას, ილ. ჭავჭავაძეს, ველიჩკოს, „ივერიას“, „კავკასს“, ლალს, გ. წერეთელს, „კვალს“ და ეხლა-ხან დაწყებულ სჯას ქართველ-სომეხთა შესახებ. ერთ ალაგას ნათქვამია, რომ ტფილისი რამდენადაც ქართველების დედა სატახტო ქალაქია, იმდენადვე კავკასიელთა საკუთრებას შეადგენსო.

* *
*

ბ-ნმა ხახანაშვილმა გაზ. „Рус. Вѣд.“ დაბეჭდა განსვენებულის ი. ლ. სერებრიაკოვ - ოქრომჭედლიშვილის ნეკროლოგი, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს:

„ქართულის ენისა და ისტორიის სამაგალითო მცოდნემ, ოქრომჭედლიშვილმა დასტოვა მრავალი ძვირფასი ნაწერი, რომელთა შორის „ამბავი ქართულის ან-ბანის შემოღებისა“ და „შენიშვნები ქართულის მატიანეს შესახებ“ დღემდის სამაგალითო გამოკვლევებად ითვლება. ოქრომჭედლიშვილმა პირველმა დაამტკიცა, რომ ქართული ან-ბანი დიდის ხნის შემოღებულია და პირველმა აღნიშნა კავშირი ქართულსა და ზენდურს ანბანებს შორის. მანვე დაარღვია ის ცრუ აზრი, ვითომც ქართული მატიანე უცხო ტომის კაცებისაგან იყოს შედგენილი. განსვენებულმა გადმოთარგმნა ქართულს ენაზედ აგრეთვე ლენორმანის გამოკვლევა ვანის ლურსმულ წარწერების შესახებაო.

## რუსეთი

ამ ბოლო დროს საერო განათლების სამინისტრო რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ნებას აძლევს უნივერსიტეტში შესასვლელად კლასიკურ გიმნაზიებთან ძველ ენებისა დამატებითი ეგზამენი გარდაიხადონ ხოლმე. ამ დღეებში სამინისტროს ბჭობა ექნება თურმე იმის შესახებ, რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ აქვთ თუ არა უფლება გიმნაზიებთან ძველ ენების ეგზამენი გარდაიხადონო.

— უკანასკნელად შეკრებილ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ევროპის რუსეთში 8,920 კაცზედ და ციმბირში — 22,000 კაცზედ ერთი მკურნალი მოდის; ბებია ერთი — ევროპის რუსეთში 4000 კაცზედ და ციმბირში 54,000 კაცზედ; საავადმყოფო თითო — რუსეთში 20,000 და ციმბირში 28,000 კაცზედ.

— იმ ოთხ ქალაქთა შორის, სახელდობრ ვორონეჟსა, სარატოვსა, პენზასა და სამარასა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ შუამდგომლობენ, უპირატესობა სარატოვს მიეცემა თურმე და იქ დაარსდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თუ ქალაქი და საერობო დაწესებულება რაიმე დახმარებას აღმოუჩენენ მთავრობას.

— საერო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს სახელმწიფო საბჭოს წინაშე, რომ საჭიროა 8,000 მან. გადაიდოს იმათ დასაჯილდოვებლად, რომელნიც სამრეწველო სასწავლებელთათვის საუკეთესო სახელმძღვანელოს შეადგენენ.

— რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებასთან დაარსებული განსაკუთრებული კომისია ამ დღეებში მოილაპარაკებს საფოტოგრაფიო სასწავლებლის დაარსების შესახებ და განზრახვა აქვს პროექტი შეიმუშავოს საათების დამზადებისა და პროფესიონალურ ცოდნის გასავრცელებელ ახალ სასწავლებლებისა.

— ანდრე ბონიე, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის ცნობილი მწერალი ტოლსტოი ინახულა, აი რასა სწერს გაზ. „Temps“-ში: გრაფი თუმცა 70 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგისა და ღონიერის ჯანისაა, წელში მუდამ ამართულია და სიარული ჭაბუკისებური აქვს. იმ დღეს, როდესაც გრაფთან ვიყავი, გრაფმა ნასადილევს ყინულზედ კარგა ხანი იცურავა. გრაფისთვის დღეში 35 ვერსის გავლა დიდი არაფერია და ველოსიპედით ხომ მუდამ დასეირნობს. გრაფს სტუმართან ლაპარაკი დაუწყია დრეიფუსის საქმის შესახებ და უთქვამს: „ზოგჯერ დიდი უბედურება სასარგებლოა ერისთვის, აღძრული იჭვიანობა საფრანგეთს სიკეთეს მოუტანსო“. ბონიე მეტად გაუკვირვებია გრაფის უბრალო ჩაცმა-დახურვას.

— უმაღლესად ნება დართულ იქნა ქ. ორენბურგში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნას დაარსებული სახალხო მასწავლებელთათვის. კურსებს ბაღ-ბოსტნეულობისა, მეფუტკრეობისა და აბრეშუმეულობის განყოფილებანი ექმნება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 3 იანვარს ნეაპოლიტანის ქალებმა ემილ ზოლას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ულოცავენ და მადლობას უცხადებენ იმ დიდ წერილის გამო, რომლითაც დრეიფუსის საქმის შესახებ პრეზიდენტს ფელიქს ფორს მიჰმართა.

— გაზეთების სიტყვით, ასეთივე წერილი, რომელშიაც სთხოვენ ფელიქს ფორს დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად გადასინჯვას, უკვე გაუგზავნეს 100 მწერალმა, მხატვარმა და სხვათა. ეხლა გაზ. „Berliner Tageblatt“-ი იუწყება, რომ მალე პალატა მიიღებს მეორე პეტიციასაც, რომელშიაც სთხოვენ მას იმას, რასაც ზოლა და სხვები სთხოვენ. ამ პეტიციაში ნათქვამია, რომ დრეიფუსისა და ესტერგაზის საქმის განხილვის დროს კანონი არ იქმნა დაცული. პეტიციაზედ ხელი უწერიათ პროფესორებს, ექიმს, მოხელეებს და სხვათა.

**ჩინეთი.** რამდენიც არა სცდილობს ინგლისი, რომ ჩინეთმა სესხი იმისაგან აიღოს, მაინც საქმე საქმეზედ ვერ მიიყვანა და, გაზეთების სიტყვით, ჯერ-ჯერობით თითქმის ვერაფერი მოასწრეს. უცხო სახელმწიფო სააგენტოებს სწერენ პეკინიდგან: „გუშინ, 3 იანვარს, მოხდა მუნგლი-იამენის (ჩინეთის სენატის) კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა ბრიტანიის წინადადებანი სესხის შესახებ. ინგლისის ელჩმა, სხვა პირობათა შორის, მოსთხოვა ჩინეთს, რომ მან დართოს ნება ინგლისს ტალენვალსა და ნანკინში გაჭრობისა და იქ ინგლისის გემების თავისუფლად სიარულისა, მაგრამ რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა ამის გამო წინააღმდეგობა განაცხადეს. ჩინეთის მთავრობა თანახმაა მიიღოს ინგლისის წინადადებანი, მაგრამ ეშინიან, რომ რუსეთი დაბრკოლებას გაუჩენს. შემდეგი კრება მუნგლი-იამენს ხვალ ექმნება.“ ამასვე ატყობინებენ დეპეშით გაზ. „Times“ ს.

## ნაკვესი

ერთს პაწია ქალაქში თერძი მივიდა, საუკეთესო ქუჩაზედ დასახლდა და ასეთი განცხადება გამოაკრა:

„საუკეთესო თერძი ამ ქალაქისა“.

მეორე თერძმა იმის ახლო დაიჭირა დუქანი და თავისს განცხადებას წააწერა:

„საუკეთესო თერძი მთელის ქვეყნისა“.

ცოტა ხანს შემდეგ მესამე თერძი მივიდა იმ ქალაქში, პირველსა და მეორე თერძს შუა დაიჭირა დუქანი და შეფიქრიანდა, რა დავაწერო განცხადებასაო. იფიქრა, იფიქრა და ასე დააწერა:

„საუკეთესო თერძი ამ ქუჩაზედაო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის ერთს ქალაქში სცხოვრობს ერთი სახელ-განთქმული მაიმუნი, სახელად ჯო. საჭიროდ არ მიგვაჩნია ჯოს ცხოვრების აღწერა. იგი ისე სცხოვრობს, როგორც ყოველივე განვითარებული კაცი: დილით წამოდგება ლოგინიდგან, იზმორება, ამთქნარებს, პირს იბანს, მერე ტანთა და ფეხთ იცვამს, მერე საუზმობს და საუზმის დროს ხმარობს დანა-ჩანგალსა და კოვზს, ვითარცა რიგიანად აღზრდილი კაცი და ხელით მხოლოდ ხმელს ხილს მიირთმევს. საუზმის დროს ჯო მიირთმევს ერთს ჭიქა არაყსა ანუ ლუდს, მერე თითონ უკიდებს და შეექცევა ჩიბუხსა, ან სიგარას. მერე ჰმუშაობს, ან ველოსიპედით დასეირნობს და ისე კოხტად არის გამოჭიმული ველოსიპედზედ, რომ თუ ვინიცობაა ტყეში გაისეირნა, სულ დააგიჟებდა იქაურ თავისს ტომის დედათა სქესის წარმომადგენელთ. სამწუხაროდ ჯოს ქუჩაშიაც-კი არ აძლევენ ნებას ველოსიპედით სიარულისა, ვითომ იმიტომაო, რომ პოლიცია არ იყაბულებსო, ნამდვილი მიზეზი-კი, მგონია, შური უნდა იყოს.

ერთხელ ჯო ფილოსოფოსთა და პროფესორების სადილსაც-კი დაესწრო და სადილის დროს ისე თავაზინადა და ზრდილობიანად ეჭირა თავი, რომ არც ერთს ჯენტლმენს არ ჩამოუვარდებოდა. საზოგადოდ ჯო ისე იქცევა, რომ იმისაგან ჯერ არავის არ ახსოვს წყენა, მაშინაც-კი არავის ერჩის, როდესაც პოლიციელის მუნდირი აცვია ხოლმე, რომელიც მას ძლიერ მოსწონს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 იანვარი

**ალჟირი.** ეგერთა რაზმი ხმალ-ამოღებული დაეცა ბრბოს, რომელიც ჰყვიროდა: „შორს ჩვენგან ურიები“, ანადგურებდა ებრაელთა მაღაზიებს და ქუჩებში ჰყრიდა იმათ საქონელს. ბრბო გაიფანტა, მაგრამ ისევ მალე შეიკრიბა და დაიწყო ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს“. ბევრი დაიჭრა ხანჯლითა და რევოლვერით; ერთი კაცი მოჰკლეს. არეულობა ჯერ არ მოუსპიათ.

**ალჟირი.** მოკლული ორი ბავშვის მამა აღმოჩნდა. ის ხანჯლით ზურგშია დაჭრილი და ამას გარდა შუბლში ტყვია აქვს მოხვედრილი. დაჭრილი იმ წამსვე გარდაიცვალა.

არეულობამ უფრო იმატა. ქუჩები აუარებელის ხალხით არის სავსე. უმთავრესს ქუჩაზედ ჯარი სდგას.

ერთი დაჭრილთაგანი, ვილაც კაგროლი აფთიაქში გარდაიცვალა. რამდენიმე სხვაც საშინლად დასჭრეს ხანჯლით. როდესაც 4 საათზედ კაგროლის გარდაცვალების ხმა გავრცელდა, ხალხი საშინლად აღელვდა. სწორედ ამ დროს გაანადგურეს ებრაელთა ექვსი მაღაზია, მაღაზიიდგან საქონელი ზოგი ქუჩაში გამოჰყარეს, ზოგიც დასწვეს. დარაბები სულ ნაფოტებად აქციეს. მანიფესტანტებს ცხენოსანი ეგერემი დაეცნენ.

ბრბო წინააღმდეგობას უწევს ჯარს. ჟანდარმთა და პოლიციელთ მშვიდობიანობა ვერ აღადგინეს. სხვა-და-სხვა ერთა მაწანწალებმა ძარცვა-გლეჯა განაახლეს. პოლიციის რამდენიმე აგენტები ფეხით გათელეს. პოლიციამ დააპატიმრა ქურდები, რომელთაც ებრაელთა მაღაზიებიდგან საქონელი მოიპარეს.

**ალჟირი.** $10^1/_2$ საათზედ მემანიფესტაციენი ალტაცებით მიეგებნენ ჯარს, შეცვივდნენ ებრაელთა ფქვილის საწყობებში, ტომრებსა სჭრიდნენ და საქონელს ქუჩაში ჰყრიდნენ. ჯარის-კაცებმა გაჰფანტეს მემანიფესტაციენი. იმათ კვლავ თავი მოიყარეს წყლის პირის ქუჩაზედ და დასწვეს ებრაელთა არყის საწყობები. ცეცხლი ჩაქრობილ იქმნა. დარაჯები დადიან ქალაქში, მშვიდობიანობა მყარდება ნელ-ნელა. მემანიფესტაციენი სენტ-ეჟენის უბანში წავიდნენ და რამდენიმე ებრაელთა აგარაკი დააზიანეს. ჟანდარმებმა უკან აღარ გამოუშვეს ისინი ალჟირში. ქალაქი დამშვიდებულია. ჯარი ყაზარმებში ჰბრუნდება. 200 კაცია დაპატიმრებული.

13 იანვარი

**ალჟირი.** გუბერნატორმა ქუჩები დაიარა და სცდილობდა მანიფესტანტები დაემშვიდებინა, მაგრამ ბრბო უყვიროდა „სამსახურს თავი დაანებეთო“! მაშინ გუბერნატორი შინ დაბრუნდა. ის უცხოელნი, რომელნიც უწესოებაში მონაწილეობას იღებდნენ, ქალაქიდგან იქმნებიან გაგზავნილნი.

**გილიპოლი.** 600 კაცმა მანიფესტაცია მოახდინეს იმის გამო, რომ პური გაძვირდა. უწესოებაც იყო. 36 კაცი დააპატიმრეს.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარმა ფონ-ბიულოვმა განაცხადა, რომ დრეიფუსსა და გერმანიის მთავრობის შორის არავითარი კავშირი არა ყოფილაო. კრიტის შესახებ ბიულოვმა სთქვა, აქ საქმე ის არის მხოლოდ, რომ კრიტის გამო დიდ-სახელმწიფოთა შორის არავითარი უთანხმოება არ ჩამოვარდესო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Января 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.